პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-20 წელი

№ 136 (2499) ● კვირა, 12 ივლისი, 1964 წ. ● ფასი 3 კაპ.



ს უ რ ა თ ზ ე: თბილისის „დინამოს“ მარჯვენა ცენტრალური თავდამსხმელი ვ. ბარქაია მიისწრაფის როსტოველთა კარისკენ.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## „ა“ კლასი

### გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 12 ივლისისათვის

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 13 | 6 | 6 | 1 | 17—6 = +11 | 18 |
| „დინამო“ (კიევი) | 14 | 6 | 6 | 2 | 19—12 = +7 | 18 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 12 | 7 | 3 | 2 | 23—10 = +13 | 17 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 13 | 7 | 3 | 3 | 17—5 = +12 | 17 |
| „დინამო“ (თბილისი) | 13 | 7 | 3 | 3 | 18—11 = +7 | 17 |
| ს კ ა (როსტოვი) | 13 | 7 | 1 | 5 | 20—10 = +10 | 15 |
| „ვოლგა“ (გორკი) | 14 | 4 | 6 | 4 | 8—15 = —7 | 14 |
| „დინამო“ (მინსკი) | 12 | 4 | 5 | 3 | 7—6 = +1 | 13 |
| ც ს კ ა | 12 | 4 | 5 | 3 | 10—10 = 0 | 13 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 14 | 3 | 6 | 5 | 5—14 = —9 | 12 |
| „კაირატი“ (ალმა-ატა) | 14 | 3 | 5 | 6 | 11—15 = —4 | 11 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 14 | 3 | 5 | 6 | 8—15 = —7 | 11 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 11 | 3 | 4 | 4 | 12—10 = +2 | 10 |
| „მოლდოვა“ (კიშინიოვი) | 13 | 4 | 2 | 7 | 7—14 = —7 | 10 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 13 | 4 | 2 | 7 | 7—18 = —11 | 10 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 12 | 2 | 3 | 7 | 10—18 = —8 | 7 |
| „შინიკი“ (იაროსლავლი) | 11 | 1 | 3 | 7 | 7—17 = —10 | 5 |

**მოსკოვი**, 11 ივლისი. დღეს აქ კიევის „დინამომ“ მოუგო ცსკა-ს — 2:1. ბურთები გაიტანეს: ფედოტოვმა (ცსკა), მედვედმა და ლევჩენკომ.

## ჭადრაკის საათი!

◆ **კისლოვოდსკი**, 11 ივლისი. სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის 11 ტურში ტალმა მოუგო ლიბერზონს, შტეინმა — ფიხტლს (ჩეხოსლოვაკია).

◆ **ლენინგრადი**, 11 ივლისი. სსრ კავშირ — იუგოსლავიის საჭადრაკო მატჩის 11 ტურში რანიკუმ დაამარცხა ლაზარევიჩი, ივკოვმა — ვასიუკოვი. ყაიმით დამთავრდა პოლუგაევსკი—ჩირიჩის პარტია. დანარჩენი პარტიები გადაიდო. ანგარიში გახდა 9:4 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ.

◆ **სვერდლოვსკი**, 11 ივლისი. ჩვენს ქვეყანაში სტუმრად მყოფი გდანსკის (პოლონეთი) „დინამოს“ კალათბურთელ ვაჟთა გუნდი დღეს აქ შეხვდა რსფსრ-ს ნაკრებს. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 65:55.

◆ **იუგოსლავიაში** მყოფმა კლასიკური სტილის მოსკოველმა მოჭიდავეებმა მეორე მატჩში კვლავ „მშრალი“ ანგარიშით (8:0) დაამარცხეს ადგილობრივი ნაკრები.

## „ბ“ კლასი

**მორიგი** მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდებს შორის შედგა ლენინაკანში. აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „შირაქი“ და გურჯაანის „ალაზანი“.

მატჩის ანგარიშია 2:1 „შირაქის“ სასარგებლოდ.

## ჩვენი ოლიმპიელები

## ნაკრების კანდიდატები

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სამამულო** სპორტის განვითარებაში ფასდაუდებელი ამაგი აქვთ გაწეული საქართველოს წარმომადგენელთ. ისინი მუდამ იყვნენ მსოფლიო პირველობებსა და ოლიმპიურ თამაშებში მოპოვებული წარმატებების თანაავტორები. გავიხსენოთ თუნდაც ჰელსინკის XV ოლიმპიადა, რომელმაც დასაბამი მისცა საბჭოთა სპორტის ბრწყინვალე გამარჯვებებს ამ თამაშებში. მას შემდეგ 12 წელი გავიდა და ვინ მოთვლის რამდენმა ქართველმა სპორტსმენმა გაგვახარა ამ ხნის განმავლობაში თავისი დიდი გამარჯვებით!

საქართველო სპორტული რესპუბლიკაა და ამიტომაც ასე გულმოდგინედ ემზადება იგი ტოკიოს ოლიმპიური თამაშებისთვის. ჩვენები ფართოდ არიან წარმოდგენილი ოლიმპიური ნაკრები გუნდების კანდიდატთა სიებში. მაგრამ ერთია ირიცხებოდე უძლიერესთა შორის და სხვაა — მოიპოვო ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლება. ეჭვს არ იწვევს, რომ ყოველ სპორტსმენს აქვს ტოკიოში გამგზავრების სურვილი და რადგან ეს ასეა, ჩვენმა ოლიმპიელებმა გაორმაგებული ენერგიით უნდა ივარჯიშონ, რათა მიიღონ ამ უმაღლესი მისიის შესრულების უფლება.

ქვემოთ მოყვანილი სია არ არის საბოლოო, მან მრავალი ცვლილება შეიძლება განიცადოს. და მაინც, „ლელოს“ მკითხველთათვის ინტერესმოკლებული არ იქნება მისი გაცნობა. აი, ჯერჯერობით ვინ ინარჩუნებს ტოკიოში გამგზავრებისთვის ბრძოლის უფლებას.

**კლასიკური ჭიდაობა** — ო. ეგაძე, რ. რურუა, დ. გვანცელაძე; **თავისუფალი ჭიდაობა** — ზ. შეყრილაძე, ნ. ხოხაშვილი, ზ. ბერიაშვილი, გ. საღარაძე, შ. ლომიძე; **ძიუ-დო** — ა. კიკნაძე, ა. ქიბროწაშვილი, ფ. ჩიქვილაძე; **ფარიკაობა** — ნ. ასათიანი, გ. ლორთქიფანიძე, გ. კოსტავა, ი. ოსიპოვი; **მძლეოსნობა** — რ. შავლაყაძე, გ. გუდაშვილი, ლ. იევლევა, ო. ხოლოდოკი, ი. დიაჩკოვი, ა. შჩერბინა; **წყალბურთი** — გ. ჩიქვანაია, ვ. რომანოვი, ლ. გოგოლაძე, ვ. სანაძე; **კალათბურთი** — გ. მინაშვილი, ლ. მოსეშვილი; **ტანვარჯიში** — მ ნინოშვილი, ა. ჯანუყაშვილი; **ცურვა** — ი. ფუნიკოვი, ა. ტუტაკაევი; **სროლა** — შ. ქველიაშვილი; **ნიჩბოსნობა** — დ. ხოშაბაევი; **ფრენბურთი** — ვ. კაჭარავა; **ველოსპორტი** — ო. ფხაკაძე.

▲ **ბერლინი**. ვარნემიუნდის საერთაშორისო რეგატაზე „მფრინავ ჰოლანდიელების“ რბოლაში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა მოსკოველ ა. შელკოვნიკოვის იახტამ. მოსკოველი უძლიერესი იყო 4 რბოლაში, ხოლო 2-ში დაიკავა მეორე ადგილი.

▲ **ბაიონი**. „ტურ დე ფრანსის“ XVII ეტაპი მოკლე იყო: სპორტსმენებს გასავლელი ჰქონდათ მხოლოდ 42 კილომეტრი პეირეორადიდან — ბაიონამდე. და სწორედ ამ ეტაპზე მოხდა სერიოზული ცვლილებები ლიდერთა ჯგუფში. პირველი ადგილი დაიკავა ჟ. ანკეტილმა, რომელმაც შუალედებიან სტარტში 33 წამი მოუგო რ. პულიდორს, 4 წუთი—ესპანელ ფ. ბაამონტესს და 5 წუთი — ჟ. გრუსარს.

17 ეტაპის ჯამში ლიდერის მაისური ჟ. ანკეტილმა მიიღო. მეორე ადგილზეა პულიდორი, რომელიც ლიდერს 56 წამით ჩამორჩება.

▲ **ლ ო ნ დ ო ნ ი**. მხოლოდ 4 ქულით წააგეს ჩვენმა მოტომრბოლელებმა მეორე მატჩი დიდი ბრიტანეთის სპორტსმენებთან — 52:56. შეჯიბრება მიმდინარეობდა ქ. კოვენტრიში. როგორც პრესა იუწყება, მასპინძლებს განსაკუთრებით გაუჭირდათ უკანასკნელი გარბენის მოგება. კარგად გამოვიდნენ საბჭოთა გუნდის წევრები ბ. სამოროდოვი და ი. პლეხანოვი.

## ალეოსაჯადოთი, ბალაკლათი, ჩარილოთი, საენათი...

▲ **ბუდაპეშტი**. აქ ჩატარდა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება ტყვიით სროლაში. მასში მონაწილეობდნენ ავსტრიის, იტალიის, იუგოსლავიის, პოლონეთის, რუმინეთის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენები. მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში (60 გასროლა წოლელა მდგომარეობიდან) უძლიერესი იყო იუგოსლაველი ლონკარი — 593 ქულა. გუნდურ პირველობაშიც წინ იყვნენ იუგოსლაველები. ქალთა შორის ყველას აჯობეს უნგრელებმა, პირადში გაიმარჯვა ამ ქვეყნის წარმომადგენელმა ვერეშნემ — 588. დანარჩენ ნომრებში კვლავ წარმატებით გამოვიდნენ იუგოსლავიისა და უნგრეთის გუნდები. ჩეხ სპორტსმენთაგან მხოლოდ ერთმა — კუდრნამ შეძლო პირველი ადგილის მოპოვება პისტოლეტიდან სროლაში (60 გასროლა — 547 ქულა).

## ✦ პირველ დღეს — სამ დისტანციაზე

კ ა უ ნ ა ს ი, 11 ივლისი. სსრ კავშირის გუნდურ პირველობაში მონაწილეობისთვის აქ ჩამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ველოსიპედისტები. 20-კილომეტრიანი დისტანცია ყველაზე სწრაფად დაფარეს „დინამოს“ სპორტსმენმა ქალებმა — ე. სონკმა, ა. მოორლატმა და ტ. კუზნეცოვამ. გამარჯვებულთა დრო 28.57,0. მეორე ადგილზეა „ბურევესტნიკის“ გუნდი, მესამეზე — „სპარტაკი“. ჭაბუკებმა სტარტი აიღეს 50 კილომეტრზე. აქაც დინამოელები აღმოჩნდნენ უძლიერესნი—1:6.57,0. საბჭოთა არმიის გუნდმა (ა. პეტროვი, ა. ოლიზარენკო, ვ. კაპიტონოვი და გ. ლებედევი) გაიმარჯვა 100-კილომეტრიან რბოლაში — 2:14.18,0. მეორე ადგილზე გასული დინამოელები არმიელებს თითქმის 3 წუთით ჩამორჩნენ.

# ზოგიერთი შენიშვნა მოზარდთა კალათბურთზე

**მ**საჯის სასტვენმა თბილისის კიროვის პარკის კალათბურთის სტადიონზე მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ტურნირის დამთავრება ამცნო მაყურებელს. უკან დარჩა დაძაბული სპორტული ბრძოლის დღეები, შეჯამდა ჩვენი კალათბურთის მომავლის ავ-კარგი.

რით იყო საგულისხმო და მნიშვნელოვანი ტურნირი? პირველ რიგში იმით, რომ ბევრ ქალაქსა და რაიონში აქცენტი ფიზიკურად სრულყოფილ სპორტსმენებზე გადაიტანეს. ეს სასარგებლო სწრაფვა განსაკუთრებით შეიმჩნეოდა ქუთაისის, სოხუმის და სამტრედიის გუნდებში და რადგან პერსპექტიულ კალათბურთელთა რიცხვი საკმაოდ დიდი აღმოჩნდა, მათი აქ ჩამოთვლა ზედმეტი იქნება. ფაქტი ფაქტად რჩება და იგი უდავოდ მისასალმებელია.

მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ფიზიკური მონაცემები და ფიზიკური მომზადება სხვადასხვა მცნებაა, რომ ხშირად ამა თუ იმ სპორტსმენის ფიზიკური მომზადება არ უპასუხებს (განსაკუთრებით გოგონებში) მის ფიზიკურ მონაცემებს. ბევრ მწვრთნელს ჯერ კიდევ ბოლომდე არა აქვს შეგნებული საერთო და სპეციალური ფიზიკური მომზადების მნიშვნელობა და ჩვენი სურვილია მკითხველის ყურადღება სწორედ ამ საკითხზე შევაჩეროთ.

რას უნდა მივაქციოთ ძირითადი ყურადღება წვრთნის დროს? უპირველეს ყოვლისა, წლიური საწვრთნელი ციკლის პერიოდებად ზუსტ დაგეგმვას და მოსამზადებელ პერიოდში მოთამაშის ფიზიკურ მომზადებას (აქ გამოიყენება სპორტის სხვადასხვა სახეობის, პირველ რიგში, მძლეოსნური ვარჯიშები). ფიზიკური მომზადების მნიშვნელობა არ უნდა დაქვეითდეს არც შეჯიბრებების პერიოდში (მას უნდა მიეძღვნას კვირაში ერთი მეცადინეობა მთლიანად, ან ყოველ ვარჯიშზე 20-30 წუთი).

ტექნიკური სრულყოფის გზაზე გუნდების წევრთა უმრავლესობას სერიოზული წინსვლა ეტყობა. კალათბურთელები ხშირად და წარმატებითაც ასრულებენ ისეთ ტექნიკურ ელემენტებს, რაც ადრე მხოლოდ ოსტატთათვის იყო მისაწვდომი. მაგალითად, ტურნირის ბევრი მონაწილე წარმატებით ახორციელებდა დრიბლინგს მხედველობითი კონტროლის გარეშე, აგრეთვე ფარულ პასს, უშეცდომოდ იღებდა ბურთს ცალი ხელით და ა. შ. ჭაბუკთა დიდი ნაწილი თითქმის ფლობს სროლებს თავზე აღმართული ცალი ხელით ადგილიდან ხტომში. სროლის ასეთ სტილს უკვე გოგონებიც ეუფლებიან.

მაგრამ ტურნირმა გამოააშკარავა მთელი რიგი ნაკლოვანებანიც. მაგალითად, დაცვაში იშვიათად შეხვდებოდით დრიბლინგის დროს ბურთის წართმევას, სროლის ეფექტურ დაფარვას. არასრულყოფილობა იგრძნობოდა თავდასხმაშიც, განსაკუთრებით ტექნიკური ელემენტების მაღალ სისწრაფეში შესრულებისას და გადაცემების სიზუსტეში.

ტექნიკურ წუნს ზოგიერთი რთული ილეთის შესრულებაც იძლეოდა — კერძოდ, კალათში სროლა გოგონებს შორის. შეცდომის არსი შემდეგში გამოიხატება: ა) სროლის წინ დაბალ საწყის მდგომარეობაში, ბ) ბურთის ხელიდან არასწორად გაშვებაში (სროლის შესრულებისას) და გ) სროლის შემდეგ ხელის (ან ხელების) არასწორ პოზიციაში.

კალათბურთელის ოსტატობა სწორ ტექნიკურ საფუძვლებზე უნდა იყოს დაფუძნებული, ამიტომ მას სწავლების დასაწყისშივე უნდა მივაქციოთ მთავარი ყურადღება.

როგორი იყო ჩემპიონატის მონაწილეთა ტაქტიკური ოსტატობა? გულახდილად რომ ვთქვათ, გაგვაოცა ტაქტიკური აზროვნების პრიმიტიულმა დონემ. შეტევის ყველაზე ეფექტური საშუალება — სწრაფი გარღვევა — თითქმის უგულვებელყოფილი იყო, განსაკუთრებით გოგონათა გუნდებში.

დაცვაში თითქმის ყველა გუნდი ზონურ პრინციპს მიმართავდა, რომლის ხშირი გამოყენება უარყოფით კვალს ტოვებს თამაშის საერთო ხარისხზე. ზონური დაცვა პასიური თამაშია და აღნიშნულ ჩემპიონატში მას მწვრთნელები ალბათ იმიტომ მიმართავდნენ, რომ იგი, ამავე დროს, მშვიდ თამაშს ნიშნავს, სადაც არ არის საჭირო ბევრი ფიქრი და ახლის ძიება. კარგი იქნება, თუ ჭაბუკთა გუნდების ხელმძღვანელები გადმოიღებენ ოსტატთა მაგალითს, სადაც ზონურ დაცვას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში მიმართავენ ხოლმე. გავიხსენოთ თუნდაც „ა“ კლასის ოსტატთა საკავშირო ტურნირი (ქალთა შორის), რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ თბილისში მოეწყო. ჩემპიონატში გუნდების მთავარი იარაღი პერსონალური დაცვა იყო, ზონური პრინციპის იშვიათი გამოყენებით.

დაგვამახსოვრდა მოსწავლეთა სპარტაკიადაზე მომხდარი ერთი შემთხვევა. ბათუმის ჭაბუკთა გუნდმა, რომელიც ქუთაისელებთან რამდენიმე ქულით აგებდა შეხვედრას, პერსონალურ დაცვაზე გადასვლა სცადა. მაგრამ ამ ახალ ამპლუაში იგი საოცრად უსუსური აღმოჩნდა. ჩანს, ბათუმელებს საერთოდ არ ჰქონდათ წარმოდგენა მოთამაშეთა პერსონალურად აყვანაზე. ასეთ ვითარებაში პრესინგის ხსენება ზედმეტია, რადგან იგი დაცვის ყველაზე აქტიური, რთული და მოწინავე სისტემაა.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ მწვრთნელებმა კალათბურთის თამაშის ტაქტიკა უნდა გაამრავალფეროვნონ და ძირითადი აქცენტი თამაშის ისეთ აქტიურ ფორმებზე გაამახვილონ, როგორიცაა სწრაფი გარღვევა და პრესინგი.

ვ. ავალიშვილი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი,

ა. წერეთელი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი,

ვ. ჩახავა.

კალათბურთის რესპუბლიკური ფედერაციის მწვრთნელთა საბჭოს ბრიგადა.

# რომ ჭაბუკნი ვიყოთ მარად...

ეროვნული ბიბლიოთეკა



მშრომელი ადამიანის, საბჭოთა ადამიანის ჯანმრთელობა და ფიზიკური გაკაჟება ჩვენი საზოგადოების მთავარი ზრუნვის საგანია. ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობა, რომელიც უმაგალითოდაა გაშლილი საბჭოეთის დიად ქვეყანაში, დღითი-დღე მოიცავს ახალ, ნოვატორულ, პროგრესულ ფორმებს და თავის ორბიტაში აქცევს ათასობით და ათი-ათასობით ახალ მომეცადინეს. დღეს თავისებურ საბრძოლო დევიზად ჟღერს ფრთოსანი გამოთქმა: „სპორტს ყველა ასაკი ემონება"... ფიზიკური კულტურის სიყვარული ღრმადაა ფესვგადგმული ბავშვსა თუ ჭაბუკში, ჭარმაგსა თუ ხანდაზმულში. ეს სიყვარული კი საუკეთესო საფუძველია ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სპორტულ მუშაობაში ახალ-ახალი მასების ჩასაბმელად, მისი მასშტაბების გასაფართოებლად.

ჩვენი გაზეთის ეს გვერდი სწორედ მასობრივ ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებს ეძღვნება.

## ჯანმრთელობის ზეიმი

**სპორტკლუბ „განთიადის" სავვლე „ოპერაცია"**

იმ დილით ბაზალეთის ტბის ნაპირი შეშფოთებული ჭიანჭველების ბუდეს ჰგავდა. ექვსასზე მეტი კაცი, ქალი და ბავშვი ფუსფუსებდა „დასამკვიდრებლად", თითქოს სამუდამოდ აპირებდა აქ დასახლებას.

ის იყო გაშალეს კილოფები, ფარდაგები და ჯგუფებად დალაგდნენ, რომ გაისმა დიქტორის ხმა: „ყურადღება! ლაპარაკობს „ჯანმრთელობის ზეიმის" მოძრავი რადიოკვანძი. სპორტულ თამაშობათა მსაჯთა კოლეგია თხოვს ჯგუფების ხელმძღვანელებს დააკომპლექტონ გუნდები და განაცხადები წარმოადგინონ 10 საათამდე".

ისევ ამოძრავდა ბანაკი. ერთი-მეორის მიყოლებით „იდგმება" სცენები, რომლებიც ერთობ მრავალისმეტყველი არიან. საამქროს უფროსის მოადგილეს შალვა ენუქიძეს ღონიერი მკლავები ხისთვის შემოუხვევია. მის ზურგზე საამქროს უფროსს ვახტანგ ხუციშვილს ქაღალდი გაუშლია და შუახნის ქალს ეკითხება:

— რამდენი წლისა ხართ?

— გადირიე? ქალს წლოვანებას ვინ ეკითხება!

— ეგ ვიცი, — დამნაშავესავით იღიმება ვახტანგი, — მაგრამ „ჯანმრთელობის სპარტაკიადის დებულებით" სპორტულ თამაშობებზე დაიშვებიან ქალები 30 წლიდან და მამაკაცები 35 წლიდან...

— შეგიძლია ჩამწერო, სწორედ გუშინ შემისრულდა 30 წელი, — იცინის ქალი.

— გასაგებია. მაშასადამე... ნუ ტოკავ! (ეს შალვას ეხება) ქეთევან შარაშენიძე, 30 წლის... ფრენბურთი.

სანამ გუნდების დაკომპლექტება ხდება, სპორტკლუბ „განთიადის" გამგეობის წევრები და აქტივი აწყობენ ჩოგბურთის, ჭადრაკის, შაშის სათამაშო მაგიდებს, ჭიმავენ ფრენბურთის ბადეს, ხაზავენ მოედნებს. რადიოკვანძიდან კი მხიარული მუსიკის ხმები ისმის.

10 საათზე დიქტორი გადასცემს სპორტულ თამაშობათა განრიგს.

— დღევანდელი „ჯანმრთელობის ზეიმი, — ამბობს იგი, — ეძღვნება საშუალო და უფროსი ასაკის მუშაკთა პირველი სპარტაკიადის გახსნას. პროგრამით გათვალისწინებულია შეჯიბრებები ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ფეხბურთში, ნიჩბოსნობაში, თევზის ჭერაში, ცურვაში, ჭადრაკსა და შაშში. დაკომპლექტებულია 26 გუნდი. პროგრამის გარეშე ჩატარდება შეჯიბრება ბაგირის გადაძალვაში და ეგრეთწოდებულ „დომბაის კრივში". სადილის შემდეგ — თვითმოქმედების კონცერტი, ცეკვები, გართობანი...

აი, დიქტორმა გამოიძახა პირველი გუნდები. გაისმა სასტვენის ხმა, ბურთი ავარდა ჰაერში და დაიწყო ბრძოლა... ჯანმრთელობისთვის. ვიღას ახსოვს რევმატიზმები, ზედმეტი სიმსუქნე, თავის ტკივილი, ან უძილობა. დაბრუნდა ახალგაზრდობა!

ისევ სასტვენის ხმა და მინდორზე გამოდის ფეხბურთელთა ორი გუნდი — „ვეტერანები" და „ძუძუმწოვარნი". ამ უკანასკნელთა შორის არც ერთი არაა 35 წელზე ახალგაზრდა. ვეტერანებს მიუძღვის კაპიტანი ნოე ქარქაშაძე. აქ არიან: სათვალეებიანი გრიგოლ გიგილაშვილი, გამხდარი შალვა ქოხონელიძე, ზომაზე მეტად გასუქებული გიორგი ბარამიძე, ჯეინკალი ნიკოლოზ კლიმოვი, ხარატი ვაზგენ ასტუროვი, ბუღალტერი ლევან გველესიანი, ინსტრუქტორი გრიგოლ პოდოსოვი და სხვანი. თამაში დაიწყო. კლუბის სამხატვრო ხელმძღვანელი აბესალომ ფიჩხაია რადიოკომენტატორია, ცდუნებას ვერ უძლებს და მიკროფონით ხელში მისდევს გვერდით ხაზს გადაცილებულ ბურთს.

... მინდორზე გამოიტანეს მსხვილი ბაგირი, გაშალეს და ახალგაზრდების ორი ჯგუფი ჩაეჭიდა აქეთ-იქიდან. და როცა ერთ ჯგუფს გაუჭირდა, გაისმა ძახილი: „ქომაგი, ქომაგი!" იმ წამსვე უფროსებს რამდენიმე კაცი გამოეყო გაჭირვებაში მყოფთა მისაშველებლად. ახლა მეორე მხარეს დაჭირდა ქომაგი და ამგვარად, ბაგირის გადაძალვაში თითქმის ყველა ჩაება. აქ იყვნენ: სპორტკლუბის გამგეობის თავმჯდომარე გრიგოლ კოჭლავაშვილი, მისი მოადგილეები მიხეილ ცხადაია და მიხეილ რუდერმანი, გამგეობის წევრები არტემ ჯემბერჯიანი, ალექსანდრე კობიაკოვი და სხვანი.

რადიო ამცნობს დამსვენებლებს, რომ იწყება „დომბაის კრივი". ყველა რინგს მიაწყდა. რინგზე თვალახვეულნი დგანან აბესალომ ბერძენიშვილი და უჩა შევარდნაძე. ორივეს საძილე ტომრები უჭირავს, ცდილობენ მეტოქეს მოახვედრონ. აბესალომი ახალბედაა — მან ჯერ არ იცის, რას წარმოადგენს ეს კრივი. უჩამ კი ნათლობა ამ ორი წლის წინ მიიღო არმაზში და ფრთხილობს. რასაკვირველია, საძილე ტომარა მხოლოდ აბესალომს ხვდება. ირგვლივ ხარხარია, რომელიც ღრიანცელში გადადის, როცა ნაგვემსა და დაქანცულ აბესალომს გამარჯვებულის სიგელი მისცეს.

სიგელებით დაჯილდოვდნენ სხვა სახეობებში გამარჯვებულნიც. ზეიმის მონაწილეთ დილიდანვე გამოეყო თევზჭერის რამდენიმე მოყვარული. ისინი წელამდე შესულან წყალში და ანკესით ხელში გაშეშებულნი დგანან. ქალები იცინიან:

— ეი, მეთევზეებო, ტყუილად წვალობთ, — დღეს კვირაა და თევზი დასასვენებლადაა წასული.

....ცეკვები, სიმღერა, თამაშობანი ცვლიან ერთმანეთს. ასეთი დასვენება თითქმის არავის უნახავს, ამიტომ ყველა კმაყოფილია და ქებით ახსენებს სპორტკლუბის გამგეობას, რომელმაც ასე კარგი ღონისძიება ჩაატარა.

**გ. გიორგაძე**

სურათზე: ბაგირის გადაძალვის ერთი მომენტი.

## უნდა მოგვარდეს!

გაზეთ „ლელოს" ა. წ. 2 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურული სექტორის გამგის გ. ჩხიკვაძის წერილი „მეტი ყურადღება თევზჭერას".

ნამდვილად ვეთანხმები ამხ. გ. ჩხიკვაძის გამოსვლას, მაგრამ აღსანიშნავია, რომ პროფკავშირების საბჭოს ფიზკულტურული ორგანიზაცია არანაკლებ გულგრილობას იჩენს ამ საკითხის მიმართ. მაგალითად, ჯანდარის ტბაზე არის „მონადირეთა კავშირი", სადაც თევზის ჭერის საგზურით შეგიძლია მიიღო ნავი ერთი დღე-ღამით. ამჟამად, გარდა თბილისის ზღვისა, ყველა ტბაზე აკრძალულია თევზის ჭერა. თბილისის ზღვაზე კი ვერ მოუწესრიგებიათ ნავების გაქირავება ისე, როგორც ეს ჯანდარის ტბაზეა. მთელი დღე წყალში დგომა კი ყველას არ შეუძლია. ამიტომაც პროფკავშირების საბჭოს ფიზკულტურულ სექტორს ვთხოვთ შექმნან თბილისის ზღვაზე თევზჭერის პირობები.

**გ. მინასაშვილი,**
თელასის ფიზკულტურის საბჭოს თევზჭერის სექციის ბიუროს თავმჯდომარე.

## პარკები დგებიან საბრძოლო მწკრივში

წარმოიდგინეთ ასეთი რამ: ზიხართ პარკში. ისვენებთ. ირგვლივ სიგრილეა, სუფთა ჰაერი და ბუნება, რომელიც ასე ენატრება ქალაქის მკვიდრს. თქვენ ისვენებთ, მაგრამ მაინც რაღაც გაკლიათ. ჰო, ეს სხეულია მოდუნებული და მოთენთილი, სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ!..

თქვენ გიახლოვდებათ თავაზიანი ახალგაზრდა:

— ბოდიში, ბატონო, ხომ არ ინებებდით ფრენბურთის ან ჩოგბურთის თამაშს? სხვათა შორის, აქ მაგიდის ჩოგბურთის ინვენტარიც გვაქვს. შეიძლება ფეხბურთშიც სცადოთ ძალა, რა თქმა უნდა, მცირე მოედანზე...

წინადადება ერთობ მოულოდნელია, თუმცა მეტისმეტად მაცდური... მაგრამ იგი უხერხულობასაც შეიცავს.

— აუჰ, რა ხანია არ მითამაშია! — ამბობთ თქვენ.

ან კიდევ:

— მე რომ ჩოგბურთის თამაში არ ვიცი?! თანაც, ამ ხნის კაცი...

მაგრამ თავაზიანი ახალგაზრდა საკმაოდ დაბეჯითებული ჩანს. იგი თქვენ გიხსნით, რომ სპორტულ ოსტატობას აქ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რომ, ბოლოსდაბოლოს, არც ისე რთული საქმეა უცნობი სპორტული სახეობის დაუფლება გამარტივებული წესების საფუძველზე, რომ თქვენს გარდა ამ თამაშებში თქვენისთანავე ახალბედებიც არიან ჩაბმული და უხერხულობაზე ხომ ლაპარაკიც სასაცილოა..

ასე იწყება თქვენს ცხოვრებაში დასვენების ყველაზე უფრო ღირსსახსოვარი პერიოდი. ასე ხდებით რომელიმე მახლობელი პარკის „ჯანმრთელობის ჯგუფის" წევრი, საიდაც შემდეგ ყოველთვის მოუთმენლად მიგეჩქარებათ სამსახურისგან თავისუფალ დროს...

აი, ასეთი ღონისძიება წამოიწყეს სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ და სპორტკავშირის ცენტრალურმა საბჭომ. მათი დადგენილებით 1964-1965 წლების პერიოდში ტარდება კულტურისა და დასვენების პარკების საკავშირო დათვალიერება, რომლის მიზანია დამსვენებელთა შორის პარკებში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესება. გასაგებია მისი მიზანიც: მშრომელთა მასებში ფიზიკური კულტურის საშუალებით აქტიური დასვენების და გაჯანსაღების ღონისძიებათა საუკეთესო ორგანიზაცია, პარკების ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობაში ფართო საზოგადოებრიობის ჩაბმა.

ბევრი რამაა საინტერესო აქ თვით პარკების მუშაკებისა და აქტივისთვისაც, რომლებიც დიდი და კეთილშობილური ამოცანის წინაშე დგანან. საკავშირო დათვალიერების, მასში გამარჯვების ეტალონია დამსვენებელთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობით ჩაბმა მასობრივ შეჯიბრებებში, რომლებიც გამარტივებული წესებით ეწყობა სპორტის სხვადასხვა სახეობაში, პარკის ჯილდოზე სპორტული დღესასწაულების, „ჯანმრთელობის დღეების", ღია შეჯიბრებებისა და მასობრივი თამაშობების ჩატარება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის (მათ შორის, ბავშვებისა და მოზარდებისათვის), სპორტული ინვენტარის გაქირავებისა და სპორტული მოედნების გამოყენების რაც შეიძლება რაციონალური და ინტენსიური ორგანიზაცია, ფიზკულტურის საზოგადოებრივი აქტივის ფართო მოზიდვა, ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდის მაღალი დონე (სპორტსმენთა საჩვენებელი გამოსვლები, ლექციები, გამოფენები, კინოფილმების ჩვენება და ა. შ.).

დათვალიერების პერიოდში გამოვლენილი საუკეთესო პარკები დასაჯილდოებლად და წასახალისებლად წარედგინება კულტურის სამინისტროსა და სპორტკავშირის ცენტრალურ საბჭოს მომავალი წლის 15 აპრილისთვის. ამდენად, ღონისძიება მოიცავს არა მარტო ზაფხულის, არამედ ზამთრის პერიოდსაც.

ჩვენ არა ერთხელ ვწერდით საქართველოში უეცრად შექმნილი „ნამდვილი ზამთრის" პირობების გამოყენების აუცილებლობაზე მშრომელთა ფართო მასებში მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაშლის მიზნით. დათვალიერების პირობები ითვალისწინებს ამ პუნქტსაც. იგი ამ მხრივაც ფართო და წარმტაც პერსპექტივებს უშლის ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებთ, რომლებმაც, ასე რომ ვთქვათ, არ იციან რა აკეთონ მაშინ, როდესაც ზამთრის სუსხი ოთხ კედელს შუა აქცევს მათი თავისუფალი დროის დიდ ნაწილს. დათვალიერება პარკებს უყენებს პირობას, რომ აქ ზამთრობით მშრომელებს ასწავლიდნენ თხილამურებით სიარულს, ციგურებით სრიალს და ა. შ. (რა თქმა უნდა, შექმნილი პირობების გათვალისწინებით).

ასე რომ, თქვენ, მეგობრებო, ზამთრის პერიოდშიც შეგეძლებათ მიაშუროთ იმავე პარკებს, მათ „გამაჯანსაღებელ ჯგუფებს", რომლებიც ასე შეგიყვარდათ ზაფხულის პაპანაქებაში, ოღონდ....

აქ უკვე სიტყვა თბილისის საბჭოს და რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების აღმასკომებს ეკუთვნით. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო და სპორტკავშირის საბჭო უკვე ქმედითად გამოეხმაურნენ მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ამ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას. მათ სათანადო დადგენილებაც მიიღეს რესპუბლიკის კულტურისა და დასვენების პარკების საკავშირო დათვალიერებაში მონაწილეობასთან დაკავშირებით. მაგრამ საქალაქო და რაიონული აღმასკომების თანამშრომლობისა და კონკრეტული დახმარების გარეშე ამ საქმეში არაფერი გამოვა.

წინ მეტად საინტერესო, კეთილშობილური ასპარეზია. მაშ, მოდით, მთელის შეგნებით მივუდგეთ მას!

## ფართო გზა — მასობრივ ცურვას!

ჩვენი რესპუბლიკის მდიდარი ბუნებრივი პირობები ყველა საშუალებას იძლევა საქართველოში მასობრივი ზოგადგამაჯანსაღებელი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებისთვის. ფიზკულტურული ორგანიზაციების მიერ ეს პირობები ძირითადად კარგადაა გამოყენებული, რამაც საფუძველი შეუქმნა ქართული სპორტის აღმავლობას. მაგრამ არის მოღვაწეობის ერთი სფერო, სადაც ჯერ კიდევ ყველა-ვერი არაა სათანადოდ ათვისებული და ხალხის სამსახურში ჩაყენებული, კერძოდ — წყლის რესურსები.

სამწუხაროდ, მას ჩვენს რესპუბლიკაში ჯეროვანი ყურადღება ჯერ კიდევ არ ექცევა. ავტონომიურ რესპუბლიკებში, ქალაქებში, რაიონებში, ფიზკულტურულ კოლექტივებში გამოუყენებელია არსებული რესურსები, შექმნილი არაა ცურვის მასობრივად შემსწავლელი ჯგუფები. პიონერთა ბანაკების, დასასვენებელი სახლების, სანატორიუმების დირექციები და ფიზკულტურულ მუშაობაზე პასუხისმგებელნი ისე ისტუმრებენ ნაკადს, რომ ბევრგან ერთხელაც არ აგონდებათ ცურვის მასობრივად შესწავლაზე ზრუნვა. ცურვის უცოდინარობის გამო კი ზოგჯერ სამწუხარო ფაქტების მოწმენი ვხდებით.

რესპუბლიკაში ბევრია ცურვის შესწავლის მსურველი. მასების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა. საჭიროა წყალსაცავებთან, მდინარეებთან, ყველგან, სადაც საამისო საშუალებაა, მოვაწყოთ სათანადო მარტივი ტიპის ნაგებობანი. შევქმნათ ცურვის მასობრივად შემსწავლელი ჯგუფები, მოვამზადოთ და გამოვიყენოთ საზოგადოებრივი კადრები.

ამ ფრიად აქტუალურ საკითხზე დადგენილება მიიღო საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმმაც, რომელმაც საოლქო, საქალაქო და რაიონულ სპორტკავშირებს დაავალა ორგანიზაცია გაუკეთონ, დროულად მოაგვარონ ცურვის მასობრივად სწავლება, ხოლო ცურვის რესპუბლიკურ ფედერაციასთან შექმნილმა შესაბამისმა მუდმივმოქმედმა კომისიამ სათანადო კონტროლი და ხელმძღვანელობა გაუწიოს სპორტული საზოგადოებების, პროფკავშირული და დარგობრივი ორგანიზაციების ამ მიმართულებით მოღვაწეობას.



## რესპუბლიკაში უძლიერესნი

**გუშინ** თბილისის „განთიადის“ სპორტულ თამაშობათა [illegible] დამთავრდა საქართველოს უძლიერეს ფრენბურთელთა [illegible] ჩემპიონატი.

ქალთა ასპარეზობის გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ აფხაზეთის ნაკრები და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი. აფხაზეთის ფრენბურთელებმა დიდი ალმავლობით ითამაშეს, შეხვედრა „მშრალად“ — 3:0-ზე მოიგეს და მოიპოვეს რესპუბლიკის ჩემპიონის ტიტული. მესამე ადგილზე გამოვიდნენ თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის წარმომადგენლები.

ვაჟთა შორის საქართველოს უძლიერესი გუნდის სახელი მოიხვეჭა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კოლექტივმა. მეორე ადგილზეა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი, მესამეზე—აჭარის ნაკრები.



## ა, ასეთი ფეხბურთი!..

**ს** უ რ ა თ ი, რომელსაც ჩვენ აქ ვათავსებთ, თბილისის „დინამოსა“ და როსტოვის არმიელთა გუნდის მატჩის დამთავრების შემდეგ გადაიღო ფოტოკორესპონდენტმა ო. თურქიამ.

უზომოდ დაღლილი, დაქანცული ფეხბურთელები ჯგუფად გადიოდნენ მინდვრიდან. ს. მეტრეველს მიუახლოვდა როსტოველთა მეკარე ა. გლუხოტკო (მათ ახლო მეგობრობა აქვთ მოსკოვის „ტორპედოში“ ერთად ყოფნის დროიდან) და მხარზე მოხვია ხელი:

— სლავა, მეგობარო, ძალიან მომეწონა შენი თამაში დღეს. შეუდარებელი იყავი...

მეტრეველი საერთოდ მორიდებული კაცია, ამიტომ თითქოს მოუბოდიშა.

— პენალტის არ შეგდება არ შეიძლო, ანატოლი!...

— ეგ რა სათქმელია! აბა რა უნდა გექნა!...

მართლაც, სლავა შეუდარებელი იყო ამ დღეს. მისი თამაში იმ ნავს მოგაგონებდათ, რომელიც გაავებულ ტალღებში წარმოუდგენლად მსუბუქად ტივტივებს და ნიავივით მიიწევს წინ, მიიწევს იქ, სადაც უფრო ძნელი და მძიმე ბრძოლაა. ტალღები. ეს შეიძლება, ცოტა არ იყოს, არ გახლავთ საფეხბურთო შედარება, მაგრამ ის, რაც მეტრეველს გადახდა კრივობოროდოვთან და განსაკუთრებით ლინიაევთან ბრძოლაში, სხვაგვარად არც შეიძლება იქნას ფორმულირებული. ლინიაევი გამოცდილი მცველია. მან კარგად შეატყო, რომ თბილისელთა მარჯვენა გარემარბი ჩინებულად ასრულებდა ტაქტიკურ დავალებას და სისტემატურად გაჰყავდა იგი ცენტრალური ზონიდან ფლანგზე, ამიტომ, ვინაიდან სხვა საშუალება აღარ იყო, ორივე როსტოველი მოთამაშე დაურიდებლად მიმართავდა ისეთ „დამხმარე“ საშუალებებს, როგორიცაა სარმა, ხელის კვრა, ხელით დაჭერა და ა. შ.

გაიხსენეთ თუნდაც ის წუთი, როცა მეტრეველს ზედ კარის წინ გამოსდეს ფეხი კრიტიკულ მომენტში. წაიქეცი და პენალტიც გარანტირებულია! მაგრამ მეტრეველი არ წაიქცა. იგი ჭეშმარიტი სპორტსმენია და ბრძოლა არ შეწყვიტა. ეს საფეხბურთო რაინდობაა.

შეიძლება ჩვენ გაგვეგრძელდა ლაპარაკი დინამოელთა მარჯვენა გარემარბზე. ისეთ თამაშში, როგორიც 10 ივლისს იყო, ძნელია ცალკეულ მონაწილეთა გამოყოფა, ვინაიდან თბილისელები ამ დღეს კეთილსინდისიერად, ერთგულად ასრულებდნენ მწვრთნელის მიერ დასახულ ამოცანებს, როგორც საერთო, ისე კონკრეტულ დავალებებს და მინდორზე პირველივე წუთებიდან მიღწეულ იქნა ის, რაც ჩვენს გუნდს ხშირად აკლია ხოლმე— კოლექტივიზმი. ინდივიდუალური მოქმედება, ცალკეულ მოთამაშეთა საშემსრულებლო, ხელოვნება, მრავალრიცხოვანი, ურიცხვი დეტალი ფეხბურთის საფუძველია, მაგრამ თუ ეს ყველაფერი არაა თავმოყრილი ერთიან შემუშავებულ გეგმაში, თუ ფეხბურთელის თვითეული მანევრი არ ქმნის კონტაქტს პარტნიორებთან, წარმატების მოპოვება ძალზე ძნელი საქმე ხდება.

თბილისელთა მდიდარი ტექნიკური შესაძლებლობანი განვლილ მატჩში მაქსიმალურად იყო დაფუძნებული კოლექტივიზმის პრინციპებს, ურთიერთმოქმედებათა კანონებს და ამიტომ ნახა მაყურებელმა უაღრესად საინტერესო, შინაარსიანი და დაძაბული ბრძოლით აღსავსე თამაში, სადაც წარმოუდგენლად მაღალი ტემპი, მძლავრი დინამიკა არ შეწყდარა არც ერთი წუთით. ასეთი მატჩები დიდ ხანს რჩება მეხსიერებაში და შესადარებელ ეტალონად იქცევა ხოლმე.

აიღეთ, თუნდაც, „დუელი“ მ. ხურცილავასა და ვ. პონედელნიკს შორის, მატჩის ეს თავისებური ფრაგმენტი ერთ სანახაობად ღირდა, მაგრამ ხურცილავა ამ რთული ინდივიდუალური ამოცანის შესრულების პროცესში წამითაც არ გამოთიშულა საერთო ურთიერთდაზღვევას სხვა მცველებთან. ან გოლი, გატანილი ბ. სიჭინავას მიერ. ეს არ იყო შემთხვევითი ბურთი. „დინამოს“ წინა ხაზის მოთამაშეებმა შექმნეს მომენტი (ასეთები შემდეგაც იყო), რომ მცველს შეძლებოდა გადამწყვეტი დარტყმების შესრულება და სიჭინავამ საუკეთესოდ შეუწყო თავისი „სოლო“ ამ წამიერ მიზანსცენას.

ასეთ ძნელ მატჩში სულ ადვილი შესაძლებელი იყო დაბნეულიყო ახალგაზრდა მოთამაშე ე. ხუციშვილი. მაგრამ უახლოესი პარტნიორების — დათუნაშვილისა და ბარქაიას კოლექტიური თამაშის წყალობით ამ ფორვარდმაც მთელი სისრულით გამოავლინა თავისი შესაძლებლობანი. იგივე ითქმის ნახევარდაცვაზე, სადაც დაცვის ხაზიდან იქნა გადმოყვანილი გ. პეტრიაშვილი. ეს ხაზი (გ. სიჭინავა — გ. პეტრიაშვილი) სანიმუშო იყო მინდვრის ყველაზე საპასუხისმგებლო ნაწილში — ცენტრში.

როსტოვის არმიელთა გუნდი უცბად და თამამად შემოვიდა საბჭოთა ფეხბურთში და ასევე თამამად დაიმკვიდრა ადგილი მის ავანგარდში. სულ რამდენიმე წლის მანძილზე ამ კოლექტივში აღიზარდნენ უმაღლესი კლასის ფეხბურთელები, ბომბარდირები, შესანიშნავი ოსტატები და გუნდმა ეს ნათლად დაამტკიცა განვლილ მატჩში. ეს იყო ნამდვილი სანახაობითი, მრავალფეროვანი, მდიდარი ფეხბურთი.

და ჩვენ მთლიანად ვეთანხმებით თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობას, რომელმაც არ გამოარჩია არც ერთი ფეხბურთელი და ყველა მათგანს დაუწერა შეფასება „4“. ეჭვი არაა: ყველამ ითამაშა ერთნაირად კარგად, მონდომებით და კოლექტივმაც კოლექტიური შეფასება მიიღო— „კარგი“.

**რ. ქორიძე**

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ა. გლუხოტკო და ს. მეტრეველი მეგობრული საუბრით ტოვებენ მინდორს.

## სარეკორდო იერიშები მწვერვალზე

საკავშირო და საქართველოს მთასვლელთა ფედერაციების სანქციით დაკომპლექტდა საქართველოს სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ უძლიერეს მთასვლელთა გუნდი სპორტის დამსახურებული ოსტატების მიხეილ (უფროსი) ხერგიანისა და ი. კახიანის, სპორტის ოსტატების ჯ. გუგავას, მიხეილ (უმცროსი) ხერგიანის, ჯ. კახიანისა და შ. მარგიანის, პირველთანრიგოსნების გ. წერედიანისა და შ. ჩართოლანის შემადგენლობით.

ექსპედიციის ძირითადი (მოიერიშე) გუნდის შემადგენლობა უკვე გავიდა ცენტრალურ კავკასიონზე, ჩრდილოეთ უშბის აღმოსავლეთ კედლის დასაზვერად, სვლაგეზის დასაზუსტებლად და წინასწარი (სავარჯიშო) ასვლების შესასრულებლად ჩრდილოეთ უშბის სარეკორდო კედლოვან ობიექტზე იერიშის წინ...

გუნდის კაპიტანია მიხეილ ხერგიანი (უფროსი), მთავარი მწვრთნელი და ექსპედიციის ხელმძღვანელია დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ს. გვალია.

ამავე დროს ჩატარდება „კოლმეურნის“ მთასვლელთა საკვალიფიკაციო ასვლები კავკასიონის სხვადასხვა სიძნელის მწვერვალებზე.

## დღე პირველი, დღე უკანასკნელი

**14** წ ლ ი ს გავხდი თუ არა, მაშინვე პროტესტის ხმა ავიმაღლე:

— მე უკვე გადავცილდი ასაკს, როცა შეჯიბრებებზე წასვლა მეკრძალებოდა!

პროტესტს ყველაზე „ქმედითად“ მამიდაჩემმა დაუჭირა მხარი: სწორედ „საიუბილეოდ“ მომართვა ბილეთი, რის გულისთვისაც იმ დღეებში, სალაროებთან ხელჩართული ბრძოლები იმართებოდა.

— შეხედე, მამიდა დაგენაცვლოს, რა ბილეთია! — თქვა მან, — სექტორი — 14, რიგი — 14, ადგილი — 14... საგანგებოდ ვიზრუნე შენთვის!

**კ** ო ნ ტ რ ო ლ ი ო რ მ ა ჯერ მუშტრის თვალით ამხედ-დამხედა, მერე ბილეთი შეათვალიერა და, ბოლოს, შემპარავი ღიმილით მკითხა:

— ეს რა ბედნიერი ბილეთი გიშოვნია, ბიჭო! ძვირად იყიდე?

შეკითხვა ზუსტად ისეთი ტონით იყო ნათქვამი, როგორიც ქართულის მასწავლებელმა იცოდა. მე მაშინვე გამოცდაზე წარმომიდგა თავი და აკანკალებული ხმით დავუწყე ახსნა:

— გუშინ თოთხმეტი წლისა ვიყავი...

შევბორძიკდი. „შემეშალა, — გავიფიქრე მწარედ, — ისევ შემეშალა!...“

— რაო?! — კონტროლიორმა ისეთნაირად გადმოკარკლა თვალები და თავიც სინანულით გაიქნია, რომ წამსვე სინამდვილეს დავუბრუნდი.

— ჰო, ბიძაჩემო. გუშინ თოთხმეტი წლის გავხდი და საჩუქრად მომიტანეს ეს ბილეთი.

— ძალიან ლამაზი ბილეთია, — თქვა „ბიძაჩემმა“, — აფსუსია ამის დახევა. იქნებ ჯობდეს, შენ ისევ იქ წახვიდე, საიდანაც მოსულხარ... საავადმყოფოში, რაღა! ბილეთი კი მე დამიტოვო.

— რას ამბობ, ბიძაჩემო! მამიდაჩემს რაღა ვუთხრა?! მამაჩემი ძლივს დავითანხმე! მომეცი ბილეთი! მამიდაჩემი!... ბიძაჩემო!...

ხიმწრისგან მოკრებილი ძალა მანამდე აკავებდა ზურგში მობჯენილ ხალხს, სანამ კეფაში ვიღაცის თათი არ მომხვდა.

— აღარ მორჩები ბაზარს! — მოვასწარი იმ ვიღაცის ნათქვამის გარჩევა და თვალთ დამიბნელდა.

შუბლი ჩაქუჩივით დავარტყი ასფალტს. წამში ხალხი ბურთივით შეიკრა ჩემს ირგვლივ. წყალი რომ ვერსად მონახეს, თბილ-თბილი ლიმონათის დასხმა დამიწყეს. მომასულიერეს. წამიყვანეს. ათიოდე მეტრი ხელკავით გამატარეს და მერე ყველამ თავისი გზა მონახა. მეც მივაშურე ტრიბუნებს. ბილეთს რაღას დავეძებდი, როცა სტადიონზე შევყავი ცხვირი, თუნდაც გატეხილი...

ჩემი სექტორი მოვნახე და შახაბაზივით გამოვიჭიმე „იუბილარის“ ადგილზე.

იმის ნახვა კი მაცალეს, როგორ იწყებოდა თამაში ცენტრიდან, რომ ვიღაც ახმახი დამადგა თავზე. ადგილის დატოვება მიბრძანა.

ეშლება-მეთქი, და ყურადღება არ მივაქციე.

— შენ გეუბნები: რას დაგიღია პირი, ხაფანგივით, წამოხტი მალე!

— რატომ? ჩემი ადგილია.

— ერთი ამ ლლაპს დამიხედეთ. მაბრმავებს კიდეც, — სიტყვა არც კი დაამთავრა, თვალებზე ის ბილეთი მომაფარა, წინა ღამით ბალიშის ქვეშ რომ მედო. — იმიტომ კი არ მიმიცია ხამი მანეთი, შენ წამოგასკუპო ამ ადგილზე.

— არ ავდგები! — ისეთი რიხით მოვჭერი, თითქოს სააკაძის ფარ-ხმალი მჭეროდეს ხელში.

— აბა, მეტი სიტყვა აღარ გავიგო, თორემ ამ მშიერ კუჭზე კაცი და ხინკალი ერთია ჩემთვის!

ხახა ისეთნაირად დააღო, რომ წამში შევატყე, გლანდების ოპერაციაც გაკეთებული ჰქონდა. წამოვხტი კი არა, წამოვფრინდი.

ორიოდე ნაბიჯი გადავდგი და ჩავიმუხლე

— ვინაა ეს ჯართი? — იკითხა ერთმა, — გადაეთრიე, ბიჭო, იქით! ფეხზე მაზიხარ.

უსიტყვოდ ავიბარგე.

... კიბეები! ჩემი უკანასკნელი იმედი!...

— გაწიე თავი მარჯვნივ!

— გაწიე მარცხნივ!

— მოიჭერი თავი!

— მომეცი ნაჯახი! — ველარ მოვითმინე

— გამასხრებ მე შენ, — ვიღაცა კისერში დამწვდა და მისროლა უკან. იქიდან კიდევ უკან. ალავერდივით გადავდიოდი ხელიდან ხელში. ბოლოს ცემენტის კედელს მიმახეთქეს.

— არ მოკლათ, კაცო, წვიმა მოვა! — სერიოზულად თქვა ვიღაცამ.

მილიციონერი გამომიჩნდა მფარველად.

— რას დაეთრევი, ბიჭო, ვერ დაეგდები შენს ადგილზე?!

— ამაგდეს ჩემი ადგილიდან, — ცრემლები მომაწვა თვალებში.

— ვინ აგაგდო? მანახვე ბილეთი!

— არა მაქვს ბილეთი. მამიდაჩემმა!.. ბიძაჩემმა!...

— შემოიპარე ხომ! აბა მე მოგინახავ ადგილს.

ჩემი ხვეწნა-ღაღადი მყინვარს მოალბობდა. მის გულთან კი ვერაფერს გახდა. ქელეხის ცხვარივით მიმათრევდა გასასვლელისკენ.

უცებ სტადიონმა იქუხა. „თამაშის მეთერთმეტე წუთზე ბურთი გაიტანა ბარქაიამ“, — ყრუდ მომწვდა დიქტორის ხმა და სამოთხიდან გამოძევებულ მამაზეციერს შევადარე თავი.

ჩამოძენძილი პერანგით დავბრუნდი შინ. შუბლზე მოზრდილი კოპი მაჯდა. ოჯახურმა სასამართლომ სასწრაფო ზომები მიიღო. დიდი კამათის შემდეგ დისკვალიფიკაცია მომცეს ორი წლით.

და აჰა, სასტიკი განაჩენი სულს ღაფავს! იქნებ სულაც არ იყოს სტადიონის „დღე პირველი“ უკანასკნელი?!

**ბ. გულიაშვილი**

## იურისტების ჩემპიონატი

თბილისში, ოქტომბრის რაიონის იურიდიული კონსულტაციის შენობაში ამას წინათ ჩატარდა დედაქალაქის იურისტების I საჭადრაკო ჩემპიონატი.

ტურნირში, რომელიც ორ კვირას გრძელდებოდა, ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა კ. პირაევმა (1-ლი მაისის რაიონი), რომელმაც 22,5 ქულა დააგროვა 24-დან. II ადგილზე გამოვიდა რ. მაჭავარიანი (ორჯონიკიძის რაიონი) — 20 ქულა, III ადგილზე — ვ. ჯულელი (26 კომისრის რაიონი) — 18 ქულა.

ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ მთავარმა მსაჯმა, ოსტატმა ბ. გურგენიძემ ტურნირის მონაწილეებთან გამართა ერთდროული თამაშის სეანსი. ოსტატმა 23 პარტია მოიგო, ერთი წააგო (ო. ნიკოლაიშვილთან) და ერთიც ყაიმით დაამთავრა.

**გ. სამანიშვილი**

# რეპორტიორის ჩანაწერები

## 2. „ქართველი შრომი“

ტატრებიდან პრაღაში წასვლის წინადღეს ახალგაზრდობის საერთაშორისო ბანაკში ჩატარდა სპარტაკიადა, რომელსაც ტურისტებმა „ხალხთა მცირე სპარტაკიადა“ შეარქვეს. სპორტის ოთხ სახეობაში პირველობას ერთმანეთს ეცილებოდნენ საქართველოს, ყაზახეთის, ჩეხოსლოვაკიისა და გდრ-ის ტურისტები. ეს ღონისძიება ქართველი ხელბურთელებისთვის კარგი სამზადისი იყო მომავალი საერთაშორისო შეხვედრების წინ პრაღაში.

მიუხედავად დროული მოლაპარაკებისა, მასპინძლებმა ვერ მოახერხეს ტატრებში ხელბურთელთა საერთაშორისო შეხვედრის მოწყობა და ადგილობრივი მნიშვნელობის, მაგრამ მაინც საერთაშორისო სპარტაკიადის ჩატარება ჩვენი სპორტსმენებისთვის ნაყოფიერი, აქტიური დასვენების პირობად უნდა ქცეულიყო.

ასპარეზობა ჩატარდა მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთში, კალათბურთსა და ფეხბურთში. ჩვენი გუნდები ძირითადად „ბურევესტნიკის“ ხელბურთელებით იყო დაკომპლექტებული და ამიტომ პირველი ადგილების დაკავება მათთვის არც ისე რთულ პრობლემას წარმოადგენდა. ეს ასეც მოხდა, — „პროფესია“ შეცვლილმა თბილისელმა ხელბურთელებმა თავისი მრავალმხრივი ოსტატობით ყველას აჯობეს. მაგიდის ჩოგბურთში 32 მონაწილიდან 6 თბილისელი იყო (ხელბურთელები — ფხაკაძე, ანთაძე, აბაიშვილი, მაჭავარიანი, ექსეულიძე და ინჟინერი ქადაგიშვილი) და სწორედ ამ ექვსეულმა მიაღწია საუკეთესო შედეგს. I ადგილი მოიპოვა ფხაკაძემ, II — ანთაძემ, III–IV ადგილები გაიყვეს მაჭავარიანმა და აბაიშვილმა.

შეჯიბრება ფრენბურთში ოლიმპიური სისტემით ჩატარდა. ნახევარფინალში ჩვენებმა დაამარცხეს ყაზახები—2:0, ხოლო ფინალში მასპინძლებს ძლიეს —2:0. გამარჯვებულთა გუნდში შედიოდნენ ხელბურთელები—ბაგრატიონი, ცერცვაძე, კარტოზია, ექსეულიძე, მაჭავარიანი, კოპალეიშვილი და თბილისელი მოსწავლე გ. ახვლედიანი.

საქართველოს წარგზავნილებმა კალათბურთში I ადგილი გაინაღდეს ყაზახებთან ფინალში მოგებით. გუნდის შემადგენლობა ასეთი იყო: ცერცვაძე, ანთაძე, კარტოზია, ახვლედიანი, ფხაკაძე, კოპალეიშვილი, მაჭავარიანი, ბაგრატიონი და ხელბურთელთა მწვრთნელი, ძველი კალათბურთელი გ. შარაშიძე.

დაბოლოს, ფეხბურთი. აქ ჩვენი გუნდის შემადგენლობაში ხელბურთელებთან ერთად გამოდიოდა ინჟინერი ქადაგიშვილი. კარს იცავდა თბილისელ ხელბურთელთა მეორე მეკარე ხუციშვილი, პირველმა მეკარემ აბაიშვილმა კი ფლანგზე თამაში არჩია. უმაღლესი საპრიზო ადგილის ბედი ჩეხოსლოვაკელებთან თამაშს უნდა გადაეწყვიტა. მატჩის წინ მასპინძლები გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ: მათ მეკარე არ ჰყავდათ და ჩვენი ტურისტული ჯგუფიდან ახალგაზრდა ქართველი ენერგეტიკოსის გ. ჰკუასელის „სესხება“ გადაწყვიტეს. გურამი კატეგორიულ უარზე იდგა და ამბობდა: „ბურთი რომ გავუშვა, ყველაფერი მე დამბრალდება, მეკარედ არასოდეს მითამაშიაო...“

უარი არ გაუვიდა და მასპინძელთა კარში „ქართველ შროიფად“ მონათლული ენერგეტიკოსი დადგა. მან პირველ ტაიმში მართლაც გაამართლა ჩეხების ეროვნული ნაკრების მეკარის სახელი. ბევრს ეცადნენ ქართველები მისი კარის აღებას, მაგრამ ამაოდ. გურამი საკვირველი სისწრაფითა და რეაქციით მოქმედებდა და თითქმის გამოუვალ მდგომარეობებში ახერხებდა ბურთის მოგერიებას.

მატჩის მეორე ნახევარში კი გურამმა ველარ გაუძლო „მეტოქეთა“ მძაფრ იერიშებს და რამდენიმე ბურთი გაუშვა.

წაგებული გუნდი მაინც დიდად კმაყოფილი იყო ქართველი მეკარით, რომელმაც კეთილსინდისიერად ითამაშა.

საღამოს, გამოსათხოვარ შეხვედრაზე მოეწყო სპარტაკიადაში გამარჯვებულთა დაჯილდოება. ყველამ მიიღო ჯილდო, და ასე წარმოიდგინეთ ჰკუასელმაც. მასპინძლებმა დამარცხებული გუნდის მეკარის დაჯილდოებით მისდამი თავიანთი აღტაცება და მადლიერება გამოხატეს.

დილით პრაღისკენ ვიღებთ გეზს. ვინ იქნება იქ ჩვენი ხელბურთელების მეტოქენი, ჯერ კიდევ არ ვიცით. ყველა წუხს, რატომ არ მოვიდა პასუხი პრაღიდან, ჩვენ ხომ ადრევე გვქონდა მათთან მოლაპარაკება?! რა გაეწყობა, ყველაფერი პრაღაში გაირკვევა.

ჯ. ენუქიძე




სურათზე: აი, ასეთი დიპლომებით დაჯილდოვდნენ საერთაშორისო საბანაკო სპარტაკიადაში გამარჯვებულნი.



ფინიშის შემდეგ...

ფოტოეტიუდი „სვეტიდან“ (იუგოსლავია).

## „ნანტის“ ტრაგიკული ფინიში

ასეთი რამ პროფესიულ ფეხბურთში არასდროს მომხდარა. მართალია, ბევრი კლუბი გაკოტრებულა, ბევრს უსახსრობის გამო სხვადასხვა მაქინაციებისთვის მიუმართავს, მაგრამ ის, რაც საფრანგეთის ერთ დროს პოპულარულ კლუბს „ნანტს“ მოუვიდა, ფეხბურთის სტატისტიკაში ვერსად შეხვდებით.

ადრეც იყო ცნობილი, რომ უკანასკნელ ხანებში „ნანტის“ ფინანსიური საქმეები კატასტროფის პირას იყო. კლუბმა დახმარებისთვის კერძო პირებსაც კი მიმართა, მაგრამ არც ერთ მეცენატს არ სურდა „ნანტის“ ყიდვა.

უკანასკნელ ჩემპიონატში „ნანტმა“ უმაღლეს ლიგაში მეშვიდე ადგილი დაიკავა. მაგრამ ამან მისი ფინანსიური მდგომარეობა ვერ გამოასწორა. და აი, ერთ მშვენიერ დღეს ცნობილი გახდა, რომ კლუბი ყველა თავის ფეხბურთელს ჰყიდის. უპრეცედენტო ფაქტია, მაგრამ ხელმძღვანელობას სულ სხვა რამ აფიქრებს: შეძლებს თუ არა კლუბი ამ ფინანსიური ოპერაციის შემდეგ ვალების დაფარვას?



უსიტყვოდ...



ნახატები

რ. გაბრიაძისა.

## წესს ვერ დასდებ...

თბილისის პლასტიკატების ნაკეთობათა ფაბრიკაში დამთავრდა საჭადრაკო ჩემპიონატი, რომელშიც 12 კაცი მონაწილეობდა. I ადგილი დაიკავა წუნმდებელმა ე. გურგენიძემ.

ი. ხაბეიშვილი

## დიდი ტურნირები

● ბუენოს-აირესი. მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირმა არგენტინის დედაქალაქში დიდი ინტერესი გამოიწვია. მსოფლიო ჩემპიონი ტ. პეტროსიანი I ტურში შეხვდა არგენტინელ შვებერს. ეს პარტია გადაიდო. ასევე არ დამთავრებულა II ტურში პეტროსიანის პარტია ურუგვაელ ოლივეროსთან. პ. კერესმა I ტურში დაამარცხა ბელიცკი (არგენტინა), ხოლო II ტურის პარტია დაუმთავრებელი დარჩა.

● ლენინგრადი. საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეთა ტრადიციული მატჩის I ტური მასპინძელთა დიდი უპირატესობით აღინიშნა — 7,5:2,5. კორჩნოიმ მოუგო უდოვჩიჩს, პოლუგაევსკიმ — მატანოვიჩს, გელერმა — ჩირიჩს, ანტოშინმა — ივკოვს, ტაიმანოვმა — პარმას. ნონა გაფრინდაშვილის პარტია მ. ლაზარევიჩთან ყაიმით დამთავრდა. ასეთივე შედეგით დასრულდა მ. რანიკუს შეხვედრა ვ. ნედელკოვიჩთან.

## მკვლელობა „წინასწარი განზრახვის გარეშე“

ჩვენი საზღვრის საზღვრით

აპრილის შუა რიცხვებში სპორტულ სამყაროს შემაძრწუნებელი ცნობა მოედო: ტრაგიკულად დაიღუპნენ ცნობილი სამთო-მოთხილამურეები ბარბარა ჰანებერგერი და ბად ვერნერი. სარეკლამო ფილმის გადაღებისას ზვავის მასამ ორივე სპორტსმენი ცოცხლად დამარხა.

მაგრამ პრესამ რატომღაც დუმილის პოლიტიკა აირჩია მესამე სპორტსმენის, დასავლეთგერმანელი ვილი ბოგნერის მიმართ. როგორც გამოირკვა, ბოგნერი სპორტინვენტარის იმ ფირმის მფლობელია, რომელიც ფილმის გადაღებას აფინანსებდა და რომელმაც სწორედ ეს საბედისწერო, თავბრუდამხვევი და სახიფათო ფერდობი შეარჩია.

თავდაპირველად ბოგნერმა მშვიდად მიიღო მოთხილამურეთა დაღუპვის ცნობა. მაგრამ მას შემდეგ, რაც დაღუპულთა ახლობლებმა და სპორტულმა საზოგადოებრიობამ ხმამაღლა მოითხოვეს ფაბრიკანტის სამართალში მიცემა, ბოგნერი დაფაცურდა.

დიდხანს აჭიანურებდნენ საიდუმლოების ბურუსით მოცული ამ ამბის პროცესს ფაბრიკანტის ვექილები, მაგრამ ბოლოსდაბოლოს მათი სიჯიუტეც გატყდა. დასავლეთგერმანულმა გაზეთმა „დი ველტმა“ ამას წინათ გამოაქვეყნა ცნობა, რომ ბოგნერის წინააღმდეგ აღიძრა სასამართლო ძიება. საერთო გაკვირვება გამოიწვია ბრალდების განსაზღვრამ — „წინასწარ განუზრახველი მკვლელობა“. საქმის ცუდად შემობრუნების შემთხვევაშიც კი ბოგნერს მხოლოდ გაკიცხვა ელის.

რაც შეეხება გაზეთებს, ისინი არ მალავენ, რომ ფაბრიკანტი გამართლდება. გაზეთ „შპორტ დეჰეიმის“ აზრით, ფერდობი არ იყო მაინცდამაინც ციცაბო და სპორტსმენები ფილმის გადაღებისას ხშირად თვითონ იჩენდნენ უყურადღებობას. თუ ეს ასეა, რატომ თვით ბოგნერმა არ მიიღო ფილმის გადაღებაში მონაწილეობა? იგი ხომ მუდამ უძლიერეს სამთო-მოთხილამურედ ითვლებოდა?

## ჩემპიონი საფრთხეშია

კვლავ საავტომობილო კატასტროფა და კვლავ დაშავებული სპორტსმენი! პარიზის ერთ-ერთ ქუჩაზე ავტომანქანის ქვეშ მოყვა შვედი მაიორი ანრი დე რევერონი სენ სირი. იგი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონია ცხენოსნობაში.. ტოკიოში მას მეოთხე ოლიმპიური ოქროს მედლისათვის სურდა ბრძოლა, მაგრამ უბედურმა შემთხვევამ ყველაფერს წერტილი დაუსვა.

როგორც ავსტრიის გაზეთი „ფოლკსშტიმე“ იუწყება, დაზარალებულის მდგომარეობა დღითიდღე უარესდება. ავადმყოფი მეტწილად უგრძნობლადაა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

„დინამოს“ სტადიონი

13 ივლისი

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში („ა“ კლასის II ჯგუფი)

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „შახტიორი“ (ყარაგანდა)

ძირითადი შემადგენლობები

დასაწყისი 19 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი — 8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივანი და სპორტული განყოფილება — 3-35-09, ქვესადგური (3-15-00-დან 09-მდე), პასუხისმგებელი მდივანი — 5-30, სპორტული განყოფილება — 5-41, მასობრივ-ფიზკულტურული განყოფილება — 5-14, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილება — 5-14, ფოტოლაბორატორია — 5-16, მემანქანეთა ბიურო — 5-11, გამომშვები — 3-81.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 01284